აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№6 (25.030) შაბათი, 21 - 23 იანვარი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, შიდამთიან რაიონებში - 10-15 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 768 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, ევროკომისარს ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის საკითხებში იოჰანეს ჰანს შეხვდა. „კარგი შეხვედრა მქონდა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან. ევროკავშირში გაწევრების გზაზე ქვეყნის მიერ გადასადგმელი ნაბიჯები განვიხილეთ ადგილობრივად და გლობალურად მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან და უკრაინაში მიმდინარე ომის საქართველოზე განხორციელებულ ეფექტთან ერთად," - წერს იოჰანეს ჰანი „ტვიტერში".

* * *

ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსში მონაწილეობა მიიღო ევრაზიის შუა დერეფნის შესახებ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის თემატურ დისკუსიაში. „ურყევი მხარდაჭერა გამოვხატე სტრატეგიული პარტნიორების წინაშე. საქართველო ბუნებრივად არის დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ხიდი. საქართველოს უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას თავისი წვლილი შეაქვს გლობალურ სტაბილურობაში. ჩვენი ურყევი მიზანია სამხრეთ კავკასიის განვითარება და ისეთ რეგიონად წარმოჩენა, რომელსაც უსაზღვრო შესაძლებლობები აქვს", - წერს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელში.

* * *

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარეობის ერთ-ერთი კანდიდატი ნონა მამულაშვილი და გიორგი ხვედელიანი გამოდიან ინიციატივით, ხალხს ჰკითხონ, უნდა დატოვოს თუ არა „ნაციონალურმა მოძრაობამ" საქართველოს პარლამენტი. როგორც ამ დღეებში გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე ნონა მამულაშვილმა აღნიშნა, საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტი არის „ყველაზე სამარცხვინო" ქვეყნის ისტორიაში, შესაბამისად, „ნაციონალურ მოძრაობას" ე. წ. პარლამენტში არაფერი ესაქმება.

* * *

ნიკა მელიას ფინანსურად მამუკა ხაზარაძე ეხმარება და მის გამარჯვებას სოციალურ ქსელში პარტია „ლელო" ლობირებს, - ამის შესახებ ენმ-ის წევრმა დიმიტრი შაშკინმა განაცხადა. პარტია „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მხარდამჭერები დიმიტრი შაშკინის ბრალდებებს აბსურდს უწოდებენ „ბოდვებშია, სამწუხაროდ. ბოდიშს ვიხდი ამ ტერმინოლოგიისთვის, მაგრამ უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე. უბრალოდ წარმოუდგენელია", - აცხადებს ნიკა მელიას გუნდის წევრი ბაჩო დოლიძე.

მოამზადა
ია შველიძემ

„აკვაკულტურა – ახალი შესაძლებლობების სივრცე"

დარინა გაბაიძე 27 48 93

ბათუმში, „საქართველოში აკვაკულტურის განვითარების პერსპექტივებთან" დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა

სამუშაო შეხვედრას აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ტიტე აროშიძე, ფრიდონ ფუტკარაძე, აპარატის უფროსი - ზურაბ ჭურკვეიძე, აპარატის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა უწყების, თევზსაშენი კომპანიების, საექსპერტო წრეებისა და მედიასექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაზე ორგანიზაცია „მწვანე სექტორის" პროექტის - „აკვაკულტურა - ახალი შესაძლებლობების სივრცე" პრეზენტაცია გაიმართა, რომლის მიზანი საქართველოში აკვაკულტურის განვითარების სტრუქტურული სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობაა.

შეხვედრის პირველ ნაწილში „მწვანე სექტორის" მიერ მომზადებული კვლევითი ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა საქართველოში აკვაკულტურის სფეროს ძირითად პრობლემებსა და გამოწვევებთან დაკავშირებით, მეორე სესია კი აკვაკულტურის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური ღირებულებების, კონკრეტული გზებისა და მექანიზმების განხილვას დაეთმო.

ღონისძიება „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" მხარდაჭერით, პროექტის - „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის" ფარგლებში გაიმართა. პროექტს, ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით, ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

გაგრძელდება თუ არა ენმ-ში არსებული დაპირისპირება შიდა არჩევნების შემდეგ? 3

ტურისტულ ქალაქს არ ეკადრება დაზიანებული ქვაფენილი და ფილებამოყრილი ტროტუარები 5

სპორტსმენი, რომლის დღე კარატეთი იწყება 4

საუკუნის მშენებლობამ გაამართლა 6

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ახალი შესაძლებლობები - რეგიონის ახალგაზრდებისთვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელ თამარ გაბაიძეს და ცენტრის თანამშრომლებს შეხვდა

მათ გასულ წელს განხორციელებულ და მიმდინარე წელს დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრეს. შეხვედრაზე გამოიკვეთა ის პრიორიტეტები, რაზეც ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი გააკეთებს აქცენტებს, მათ შორის საერთაშორისო პროექტებზე, რომლებშიც რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები ჩაერთვებიან. რეგიონული ცენტრი აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართულობას ამა თუ იმ აქტივობაში, ისეთ პროექტებში მონაწილეობას, რომლებიც მათ კარიერულ განვითარებას, პროფესიულ სრულყოფას უწყობს ხელს, ასევე, ახალგაზრდა მეწარმეებსა და სტარტაპერებს ეხმარება.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი 40-მდე ღონისძიებას განახორციელებს. ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ საინტერესო იდეები, ინიციატივები, ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი აძლევს არაჩვეულებრივ შანსს, განახორციელონ ისინი - წელს პირველად ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი თავისუფალ ინიციატივებს დააფინანსებს:

- ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში ახალ შესაძლებლობებს, ახალ პროექტებს სთავაზობს ჩვენი რეგიონის ახალგაზრდებს. შეხვედრაზე ვისაუბრეთ იმის თაობაზეც, რომ ეს პროექტები იქნება განხილული და გადანაწილებული როგორც მუნიციპალურ ჭრილში, ასევე სხვადასხვა ინტერესის მქონე ახალგაზრდებისთვის, რათა ყოველმა მათგანმა იპოვოს თავისი საკეთებელი შეთავაზებულ პროექტებში, იმ ბევრ სიახლეში, რომელსაც ამ არაჩვეულებრივ გუნდთან ერთად შევთავაზებთ რეგიონის მცხოვრებლებს, - განაცხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

გომარდულის თოვლიანი ტრასები უკვე ხმიანობს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

იანვარი იწურება და აჭარის მეტწილ ტერიტორიაზე თოვლი სანატრელი გახდა, თუმცა სამთო-სათხილამურო კურორტი გომარდული თოვლის ნაკლებობას არ უჩივის. საკურორტო სეზონის გახსნის შემდეგ აქ სპორტული ღონისძიებებიც იმართება

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ «შუახევის სასპორტო სკოლის» ორგანიზებით თხილამურებით სწრაფდაშვებაში (სლალომი) შუახევის ჩემპიონატი ჩატარდა. შეჯიბრებაში ორი ასაკობრივი ჯგუფის გოგონები და ვაჟები მონაწილეობდნენ, ბარათაულის, გომარდულის, ოლადაურის, მაწყვალთის საჯარო სკოლებიდან მოწვეული გუნდები 40-მდე სპორტსმენს ითვლიდა.

12 წლამდე ასაკის გოგონებს შორის პირველი ადგილი ბარათაულელმა თამთა მამალაძემ დაიკავა. ამ ასაკობრივი ჯგუფის ვაჟებს შორის პირველი იყო გომარდულელი ლევან ჭაღალიძე.

18 წლამდე ასაკის გოგონებს შორის ბარათაულის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ანანო ჯაყელმა გაიმარჯვა, ვაჟებს შორის - მამუკა ჭაღალიძემ.

- გომარდული ისევ რჩება საუკეთესო ტურისტულ ცენტრად. სულ მალე სოფლის ინფრასტრუქტურაც გაუმჯობესდება. კურორტი ამ ეტაპზე ნორმალურად მუშაობს. სპორტული ასპარეზობები მალე სისტემატურ ხასიათს მიიღებს, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ.

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები თასებით, მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

დიდი ნათლობა - ხიჭაურში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით სხალთის ეპარქიის ტაძრებსა და სამლოცველოებში ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა და მღვდელმსახურებმა წირვა-ლოცვა აღავლინეს. მრევლი არ აკლდა ხიჭაურის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარს. აქ მეუფე სპირიდონთან ერთად წირვა-ლოცვა აღავლინეს დეკანოზმა პეტრემ (შანიძე) და მამა ბაგრატმა (ბერიძე).

ტაძარში დიდი ნათლობაც ჩატარდა. ამ დღეს ნათელღებულთა შორის ყველაზე უმცროსები 3 თვის მათე მახარაძე და წლინახევრის დემეტრე ჭაღალიძე იყვნენ, ყველაზე ასაკოვანი - 52 წლის ნინო (ციალა) ფუტკარაძე.

ნათლობის რიტუალის დასრულების შემდეგ ნათელღებულებსა და ნათლიებს კომენტარი ვთხოვეთ.

სულხან თავდგირიძე, მათე მახარაძის ნათლია: - ხარაულელი გელა მახარაძე და ახალდაბელი დალი დავითაძე 7 წლის წინ შეუღლდენ. ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი შვილი ჰყავთ. მათე ჩემთან ერთად მარიამ ზოიძემ და ელისაბედ ტარიელაძემ მონათლეს.

ნათია ტვილდიანი, მარინე ბერიძის ნათლია: - ხონიდან სოფელ გეგელიძეებში ვარ გათხოვილი. ჩემი შვილები, მეუღლე მონათლულები არიან. ქრისტეს რჯულზე შედგომა მეზობელმა მარინე ბერიძემ ისურვა, ნათლიად მე ამირჩია. უფალმა მას სიკეთე, ბედნიერება და წინსვლა დაანათლოს.

დეკანოზი გიორგი (ფუტკარაძე), ნინო (ციალა) ფუტკარაძის ნათლია: - ჩვენ თანასოფლელები ვართ, ისტორიული სოფელი მახალაკიძეებია ჩვენი ადგილის დედა. მისასალმებელია, რომ გამონათლევში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის კურთხევის შემდეგ, ახლომდებარე სოფლების (პაპოშვილები, გორი, მახალაკიძეები, ოლადაური) მოსახლეობა იბრუნებს ძირძველ მრწამსს. ყველა ნათელღებულს ქრისტეს რჯულთან ზიარებას ვუოცავ.

სოფიო დიასამიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ნათელღებული: - ჩემს ცხოვრებაში ეს დღე ყველაზე დასამახსოვრებელი იქნება. მომავალ იურისტს დიდი მიზნები მაქვს. მის მისაღწევად გზას უფალი გამინათებს.

ნათლობა სხვა ტაძრებშიც ჩატარდა. სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი და ეპარქიის მღვდელმსახურები დაბა შუახევშიც მივიდნენ და მშენებარე ეკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს. ტაძარს უკვე ჩამოხსნეს ხარაჩოები და ამ ეტაპზე შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს. მისი კურთხევა წელსაა გათვალისწინებული.

შემზარავი ღამე საგარეჯოში და მოკლული ახალგაზრდები

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

20 იანვარს, ღამის საათებში, საგარეჯოში, რუსთაველისა და კოსტავას ქუჩების კვეთაში მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის აივნიდან შეიარაღებულმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა დაიწყო, რის შედეგადაც დაიჭრა 5 და მოკლულია 6 ადამიანი, მათ შორის ერთი პოლიციელია, ასევე თავდამსხმელი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

თავდამსხმელი, ყოფილი სამხედრო პირი და საგარეჯოს მკვიდრი, 49 წლის ნოდარ ათუაშვილია, რომელიც თავდაცვის სამინისტროში, 2006 წლიდან, 15 წლის განმავლობაში მსახურობდა, ნამყოფი იყო ავღანეთის სამშვიდობო მისიაშიც. მეზობლების თქმით, თავდამსხმელი ბოლო 5 წლის განმავლობაში იმ კორპუსში ცხოვრობდა, საიდანაც ისროდა.

„არაფერს ითხოვდა, უმიზეზოდ დაიწყო სროლა. ყოფილი სამხედრო იყო, რამდენადაც ვიცი, განდეგილად ცხოვრობდა, რამდენიმე წელია, რაც აქ გადმოვიდა, ახალი მეზობელი იყო. თავისთვის ცხოვრობდა, არავისთან ჰქონდა კომუნიკაცია. ჩვენ უბრალოდ შევასწარით სადარბაზოში. თავიდან გადმოაგდო ბოთლი, რომელშიც იყო რაღაც ნივთიერება და ის ნივთიერება აფეთქდა, მაგაზე მივხვდით, რომ კიდევ უნდა დაეწყო სროლა და შევასწარით, ასე გადავირჩინეთ თავი“, - ამბობს ერთ-ერთი თვითმხილველი.

ცნობილია, რომ საგარეჯოში მოკლული სამართალდამცველი პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ოთარ ღვინაშვილია, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, სხვისი სიცოცხლე გადაარჩინა. საგარეჯოში მომხდარ ტრაგედიას დავით ნასრაძე, ზაზა ჩიხლაძე, ზაქარია მათიაშვილი და ნოდარ რჩეულიშვილი ემსხვერპლნენ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საგარეჯოში მომხდარის გამო გარდაცვლილთა ოჯახებს მიუსამძიმრა. „ძალიან მძიმე შემთხვევაა, მინდა მივუსამძიმრო ოჯახებს. გარდაცვლილია 5 ადამიანი, საიდანაც, სამწუხაროდ, 1 არის ჩვენი თანამშრომელი. 5 ადამიანი დაჭრილია, საიდანაც ერთ-ერთის მდგომარეობა მძიმეა. მას ოპერაცია უტარდება და ექიმები ჯერ ვერ გვეუბნებიან, რა დონის სიმძიმეა. არტერია აქვს დაზიანებული და არ ვიცით, გადარჩება თუ ვერა. ღმერთმა ქნას, გადარჩეს. ვერ ვხსნით, რა მოხდა“, - განაცხადა შს მინისტრმა.

საგარეჯოს პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვები მიმდინარეობს. გამოკითხვაზე არიან როგორც თვითმხილველები, ასევე საქმის ოქროს მოწმე, თავდამსხმელის 19 წლის შვილი, რომელმაც სახლიდან გაქცევით უშველა თავს.

ამ შემზარავი ტრაგედიის ირგვლივ საზოგადოებას უამრავი კითხვა აქვს - რამდენად მყარი იყო მისი ფსიქიკური მდგომარეობა, რა გახდა უმისამართო ცეცხლის გახსნის მიზეზი ან რა მოტივი ამოძრავებდა თავდამსხმელს? ამ კითხვებს ახლა გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი.

გაგრძელდება თუ არა ენმ-ში არსებული დაპირისპირება შიდა არჩევნების შემდეგ?

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

რამდენიმე დღეში ცნობილი გახდება ენმ-ის ახალი თავმჯდომარის ვინაობა, მანამდე კი კანდიდატთა შორის დაპირისპირება პიკს აღწევს. რაც უფრო ახლოვდება ხმის მიცემის პროცედურა, სიტუაცია მით უფრო იძაბება. არ ცხრება დაპირისპირება და ურთიერთბრალდებები ნიკა მელიასა და ლევან ხაბეიშვილის მომხრეებს შორისაც

პარტიის ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი კირთაძე, ნიკა მელიას საარჩევნო შტაბის ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი მირდატ ქამადაძე, ბათუმის საკრებულოს წევრი ნოდარ დუმბაძე ენმ-ის მოქმედ თავმჯდომარე ნიკა მელიას უჭერენ მხარს. გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ ბრიფინგზე გააჟღერეს. რატომ ნიკა მელია და არა სხვა? ამაზე „ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ლევან ხაბეიშვილის გამარჯვების შემთხვევაში, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ დარჩება, თუმცა წამყვან პოზიციას დატოვებს.

- ნებისმიერ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობა“ ისევ მთავარ ძალად დარჩება, თუ ნიკა მელია გაიმარჯვებს, ვაპირებ ბრძოლის გაგრძელებას, ხოლო თუ ვერ გაიმარჯვა, პარტიის თავმჯდომარეობას ვტოვებ და ბრძოლას ავტოკრატიის წინააღმდეგ გავაგრძელებ, - განაცხადა **გიორგი კირთაძემ**. მსგავსად ფიქრობს „ერთიანი ნაციონალური

თუ ნიკა მელია გაიმარჯვებს, ვაპირებ ბრძოლის გაგრძელებას, ხოლო თუ ვერ გაიმარჯვა, პარტიის თავმჯდომარეობას ვტოვებ და ბრძოლას ავტოკრატიის წინააღმდეგ გავაგრძელებ

მოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი **მირდატ ქამადაძეც**. ნიკა მელიას დამარცხების შემთხვევაში იგი პარტიის მთავარი რგოლიდან გასვლას აპირებს. იმაზე თუ რატომ უჭერს მხარს მოქმედ თავმჯდომარეს, პოლიტიკოსმა არგუმენტირებულად ისაუბრა.

- ბუნებრივია, რომ ადამიანები საარჩევნო პროცესის დროს გამოხატავენ თავიანთ პოზიციებს. აჭარაში არიან ადამიანები, რომლებიც მხარს ლევან ხაბეიშვილს უჭერენ, მაგრამ განსაკუთრებით დიდია მათი რაოდენობა, ვინც მხარდაჭერას ნიკა მელიას უცხადებს. ეს რამდენიმე დღეში არჩევნების შედეგებზეც აისახება. ვხვდებით ამომრჩევლებს, ვხედავთ მათ განწყობას. რატომ ნიკა მელია? - მე მგონია, საქართველოში საჯარო პოლიტიკის დროა. ჩემთვის ძალიან პატივსაცემი კანდიდატის, ლევან ხაბეიშვილის უკან დგანან ვანო მერაბიშვილი, დავით კეზერაშვილი და ლევან ვარშალომიძე, რომლებიც არ გამოდიან საჯარო სივრცეში და საკუთარ ამომრჩევლებს არ ესაუბრებიან. ისინი კულისებიდან მართავენ პროცესებს. ბათუმში საკრებულოს წევრებთან შეხვედრა ჰქონდა ელგუჯა ბაგრატიონს (აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ნაცმოძრაობიდან“, რომელმაც მოუწოდა პარტიის წევრებს, რომ მხარი დაეჭირათ ლევან ხაბეიშვილისთვის. ლევან ვარშალომიძეს, ვანო მერაბიშვილსაც და დავით კეზერაშვილსაც ქვეყნის წინაშე დიდი წვლილი მიუძღვით, მაგრამ დღეს გვაქვს სხვა ღირებულებები და არა პერსონალური დაპირისპირება. ნიკა მელიას საჯარო აქტივობას ყველგან ვხედავდით. იგი მაგალითია იმისა, რომ სტატუსი არ არის პრიორიტეტული. ჩვენ დავინახეთ, როგორ მოიხსნა სამჯური და ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდა. მე ავირჩიე თავისუფალი, საჯარო მხარე, ჩემთვის მთავარია გუნდურად, საჯაროდ იმართებოდეს პროცესები. ეს არის წარმატების გარანტია. ამ არჩევნების შემდეგ, ლევან ხაბეიშვილის გამარჯვების შემთხვევაში, საჯაროდ მივულოცავთ მას გამარჯვებას, მაგრამ პარტიის მმართველი რგოლიდან გავალთ, თუმცა დავრჩებით პარტიაში, კვლავ ვიქნებით ამ ქვეყნის ევროპული მომავლის გულშემატკივრები. ესაა ჩემი და ჩემი თანამოაზრეების პოზიცია. ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ შეფერხებაა რეგისტრაციის ახალი სისტემის გამო. ტექნიკური პრობლემა გამოწვეულია იმით, რომ ამ ტიპის არჩევნები საქართველოში პირველად ტარდება. ხარვეზების გამომწვევი ძირითადი პრობლემები აღმოფხვრილია, მალე ყველაფერი გამოსწორდება. ვფიქრობ, რომ ლეგიტიმაციის საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება. რომელ ლევან ხაბეიშვილს დავუჭერო? რამდენიმე თვის წინ ბათუმის ქუჩებში ერთად რომ ვხვდებოდით მოსახლეობას და კითხვას რომ სვამდა, სად არის ლევან ვარშალომიძეო? თუ დღევანდელ ლევან ხაბეიშვილს, რომელიც ამბობს, ვარშალომიძეს ვინც ახსენებთ, პირში წყალი გამოივლეთო? - აცხადებს მირდატ ქამადაძე.

ენმ-ის თავმჯდომარეობის კანდიდატი **ლევან ხაბეიშვილი**, ჟურნალისტებთან საუბრისას, მირდატ ქამადაძის განცხადებას ეხმაურება და ამბობს, რომ ერთი მირდატ ქამადაძე და სამი გიორგი კირთაძე მის მხარდამჭერებს ვერ გადაწონიან.

- ჩემი შტაბი აქტიურად მუშაობს, ის ადამიანებიც, ვინც უბრალოდ, მხარს მიჭერენ. ამაში ცუდი არაფერია. მე სწორედ ის ასეულობით მხარდამჭერი მაინტერესებს, რომლებიც არიან ბათუმში, ხელვაჩაურში, შუახევში, ხულოში, ქედაში. მირდატ ქამადაძე არ მაინტერესებს, მის გამო, უბრალოდ, გული მწყდება, მას პირადი ამბიციების გამო ლევან ვარშალომიძესთან დაპირისპირება აქვს, - განაცხადა ენმ-ის თავმჯდომარეობის კანდიდატმა ლევან ხაბეიშვილმა.

მირდატ ქამადაძე არ მაინტერესებს, მის გამო, უბრალოდ, გული მწყდება, მას პირადი ამბიციების გამო ლევან ვარშალომიძესთან დაპირისპირება აქვს

ლევან ხაბეიშვილის უკან დგანან ვანო მერაბიშვილი, დავით კეზერაშვილი და ლევან ვარშალომიძე, რომლებიც არ გამოდიან საჯარო სივრცეში და საკუთარ ამომრჩევლებს არ ესაუბრებიან

ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიაში მიმდინარე მოვლენებსა და შიდა დაპირისპირებაზე ქობულეთის ენმ-ის წევრმა **ბონდო თედორაძემაც** ისაუბრა. იგი ლევან ხაბეიშვილს უჭერს მხარს და თავის პოზიციას ასე გამოხატავს: - მე ერთ-ერთი ინიციატორი ვარ შიდა არჩევნებისა. ღიად ვაფიქსირებ ჩემს არჩევანს, მხარს ლევან ხაბეიშვილს ვუჭერ. უნდა შევეხო ჩანაწერებთან დაკავშირებით აგორებულ აჟიოტაჟს. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, როგორი მუქარით გვესაუბრება „ქართული ოცნება“, მათი რიტორიკა ასეთია 11 წლის განმავლობაში. ისინი დაკავებულები არიან მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში წარმატებული ლიდერების გახბეიშვილი, გიორგი მუმლაძე და ნონა მამულაშვილი.

მე ერთ-ერთი ინიციატორი ვარ შიდა არჩევნებისა. ღიად ვაფიქსირებ ჩემს არჩევანს, მხარს ლევან ხაბეიშვილს ვუჭერ

ვმჯდომარეობის კანდიდატმა ლევან ხაბეიშვილმა.

ის საკეთილდღეოდ გადავწყვიტო, ვისთან ერთად ვიბრძოლო. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიღონოთ რამე იმისათვის, რომ უსწრაფესი ცვლილებები მოხდეს ქვეყნის შიგნით, - აღნიშნავს ბონდო თედორაძე.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის არჩევნებში ხმის მიცემა 28 იანვრიდან დაიწყება და 30 იანვარს დასრულდება. ენმ-ის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობენ ნიკა მელია, ლევან

„ასეთი შეხვედრა არ გამოიყურება განსაკუთრებით ეფექტურად და პერსპექტიულად“

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არარატ მირზოიანმა თბილისში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის, სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის შესაძლო შეხვედრის შესახებ საუბრისას სააგენტო „არსენ-პრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სომხეთი დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის სამმხრივი დიალოგის განვითარებით.

„ჩვენ განვიხილავთ შესაძლო თბილისის პლატფორმას რეგიონული სამმხრივი დისკუსიების არეალში და არა ორმხრივი სომხურ-აზერბაიჯანული შეხვედრების სფეროში. ამჟამად განიხილება სომხეთისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრების, ასევე აზერბაიჯანის პრეზიდენტის შეხვედრის იდეა. სომხურმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა და მზადაა ასეთი შეხვედრისთვის, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი შეხვედრა არ გამოიყურება განსაკუთრებით ეფექტურად და პერსპექტიულად, როდესაც შეუძლებელია შეთანხმება, თუნდაც, უბრალო ერთობლივ განცხადებაზე, რომელიც გამოხატავს ვალდებულებას სიძულვილის ენის აღმოსაფხვრელად“, - განაცხადა მინისტრმა.

მანამდე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა დავოსში, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, განაცხადა, რომ აზერბაიჯანმა შესთავაზა სომხეთს მოლაპარაკებების გამართვა თბილისში, უმაღლეს დონეზე, მაგრამ ერევანმა შეხვედრაზე უარი განაცხადა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე დავოსში განაცხადა, რომ საქართველო, როგორც „ნეიტრალური და მიუკერძოებელი შუამავალი“, დაინტერესებულია სამი ქვეყნის ლიდერების შეხვედრის ორგანიზებით.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა მშვიდობისთვის მზადების არანაირი ნიშანი არ აჩვენა და ამიტომ მან უნდა გააცნობიეროს, რომ ბრძოლის ველზე ვერ გაიმარჯვებს. მისივე თქმით, უკრაინისათვის იარაღის მიწოდება მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს.

* * *

ძალიან ბევრი საჭიროება გამოიკვეთა ევრაზიის შუა დერეფნის კუთხით, სარკინიგზო, საპორტო და სხვა მიმართულებით. ჩვენ ვხედავთ ჩვენს შესაძლებლობებს. კომპანიები საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან ჩაერთვებიან ამ პროექტში, - განაცხადა კომპანია „Limak Holding“-ის თავმჯდომარე ებრუ ოზდემირმა დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაზე, ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა კაბელის პროექტზე საუბრისას. მისი თქმით, თუ აშენდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კერძო სექტორი აქტიურად ჩაერთვება ამ პროცესში და როგორც ტანაპის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ბუნებრივი აირის მილსადენები აშენდა უმოკლეს ვადებში, იგივე შეეხება ევრაზიის შუა დერეფანსაც.

* * *

უკრაინა იღებს მძიმე შეიარაღებას, საჰაერო თავდაცვის სისტემებს. ვფიქრობ, ეს უნდა გაგრძელდეს. ჩვენ გვსურს ამაში მხარი დაგიჭიროთ, რადგან შესაძლოა, შემდეგი კვირები გახდეს გადამწყვეტი ამ ომში, - განაცხადა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა კიევში, პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან შეხვედრის შემდეგ. როგორც მან აღნიშნა, ევროკავშირი პირველად ახდენს სამხედრო სწავლების უპრეცედენტო შესაძლებლობების მობილიზებას 15 ათასი უკრაინელი სამხედროსთვის. „თქვენ შეგიძლიათ დაეყრდნოთ ევროკავშირს - ჩვენ გავაგრძელებთ ურყევ მხარდაჭერას, ყოველთვის ვიქნებით თქვენთან მხარდამხარ იმიტომ, რომ ჩვენ საერთო ოცნებას ვიზიარებთ“, - განაცხადა მიშელმა.

* * *

რუსეთმა ომი უკრაინის წინააღმდეგ დონბასში ომის შესაჩერებლად დაიწყო, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. მისი თქმით, დონბასი რუსული მიწაა და ომი უკრაინის წინააღმდეგ დონბასის მცხოვრებლების დასაცავად დაიწყო. „ტრაგედია უკრაინაში სწორედ 2014 წელს დაიწყო ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული გადატრიალებით. ყველაფერი, რასაც დღეს ვაკეთებთ, მათ შორის სპეციალური სამხედრო ოპერაცია, არის ამ ომის დასრულების მცდელობა“, - განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

* * *

საფრანგეთში საპენსიო რეფორმის წინააღმდეგ მასშტაბური საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. პარიზში, სადაც ყველაზე მასშტაბური მანიფესტაცია გაიმართა, 400 ათასამდე ადამიანი გამოვიდა. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ელისაბედ ბორნმა 10 იანვარს წარადგინა საპენსიო რეფორმის პროექტი, რომლის მიღებასაც მთავრობა 2023 წელს გეგმავს. მისი თქმით, საფრანგეთის ხელისუფლება ქვეყანაში საპენსიო ასაკს ორი წლით, 64 წლამდე გაზრდის.

მოამზადა
ია ველიძემ

სპორტსმენი, რომლის დღე კარატეთი იწყება

მანანა კიკიშვილი 598 24 94 97

ევროპის ოთხგზის ჩემპიონი ჭაბუკებში და ახალგაზრდებში კონტაქტურ კარატეში, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი დიდებში (როგორც ყველაზე ახალგაზრდა პრიზიორმა, ამ შედეგით აჭარის კონტაქტურ კარატეში ისტორია დაწერა), ევროპის აბსოლუტური ჩემპიონატის ფინალისტი (პოლონეთი, ვარშავა) და ამავე ტურნირის საუკეთესო მებრძოლის ტიტულის მფლობელი (და ესეც პირველად მოხდა, საქართველოში ამ შეჯიბრებაზე ასეთ ასაკში მედალი ჯერ არავის მოუპოვებია) დავით მსხალაძე შარშან აჭარაში წლის საუკეთესო სპორტსმენი გახდა. მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლემაც ის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა და „ჩემპიონთა აკადემიის“ რჩეულიც გახდა

... 19 წლის დავით მსხალაძე ხელვაჩაურის რაიონის მაჭახლის ხეობიდანაა, სოფელ ქედქედიდან. სპორტს 6 წლის ასაკიდან მისდევს, თუმცა, აქტიურად მასში 12-13 წლის ასაკიდან ჩაერთო. სპორტის სხვა სახეობაზე აღარც უფიქრია, მიხვდა, რომ კარატე მისი ცხოვრების წესი გახდებოდა. დავითის პირველი მწვრთნელი ედნარ დიდმანიძე გახლდათ. სულ მალე გადავიდა ლევან ცინცაძესთან და დღემდე მასთან ვარჯიშობს. ეს ბეჯითი და შრომისმოყვარე ბიჭი ყოველდღიურად ჩამოდის სოფელ ქედქედიდან ქალაქში, იქით და აქეთ 60 კილომეტრს გადის ნებისმიერ ამინდში. თავისუფალი დრო საერთოდ არ აქვს. რეჟიმიდან გამომდინარე, სულ რომელიმე შეჯიბრებისთვის ემზადება. ერთი რომ მთავრდება და ისტორიას ბარდება, იწყება ახალი დღე, კარატეთი... თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ახალგაზრდა ბიჭმა ცხოვრებაში თავისი მყარი ადგილი იპოვა. კარგად იცის, რომ უშრომელად ვერაფერს მიაღწევ. თავისუფალი დრო თითქმის არ აქვს.. ისვენებს მხოლოდ მაშინ, თუ ეს მწვრთნელის მოთხოვნაა, მწვრთნელი კი მისთვის ყველაფერია - გამორჩეულად უყვარს, აფასებს. მათ ნათელმირონობაც აკავშირებთ - დათო ლევანის ვაჟის ნათლიაა.

ამბობს, რომ ლევან მასწავლებელმა მას ცხოვრებაში გზა გაუკვალა, ბევრი რამ შეასწავლა. მთავარი კი - დისციპლინა და პასუხისმგებლობა, ადამიანობა ასწავლა.

პირველი დიდი წარმატება 13 წლისამ იზეიმა - საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი გახდა თბილისში, მესამე ადგილი მოიპოვა. ეს დღე ძალიან თბილად გაიხსენა, რადგან დიდი სიხარული მიანიჭა. ცუდი ის იყო, რომ ამის შემდეგ რამდენიმე წელი ვერ იმარჯვებდა. მოგებების სერია 14 წლისამ გახსნა - სომხეთში საერთაშორისო ტურნირი მოიგო, მერე უნგრეთში იზეიმა ჩემპიონობა... შემდეგ კი საქართველოს ჩემპიონი გახდა. ყველაფერი ეს ყოველდღიურმა ვარჯიშმა მოიტანა.

დავითი არა მარტო სპორტული შედეგით, თავისი დაუღალავი შრომითაც გამოირჩევა. ამბობს, რომ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რასაც მწვრთნელთან ერთად, სჯერა, აუცილებლად შეძლებს.

სხვათა შორის, 19 წლის სპორტსმენი უკვე თავადაც ავარჯიშებს მოზარდებს თავის სოფელში. მწვრთნელობა 16 წლისამ დაიწყო. ესეც მისი პირადი მწვრთნელის ლევან ცინცაძის დამსახურებაა, მან დაინახა შეგირდში ის თვისებები, რომელიც მწვრთნელისთვის აუცილებელია. უკვე რამდენიმე წარმატებული სპორტსმენიც ჰყავს, მათ შორის, ევროპის პრიზიორი ჭაბუკებში დავით ძნელაძე, საქართველოს ჩემპიონები ანა-მარია მსხალაძე, გიორგი ძნელაძე... ისინი, როგორც პერსპექტიული სპორტსმენები, უკვე ბათუმში ვარჯიშობენ. სოფელში რომ პატარებს წვრთნის, ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ამბობს, რომ მოზარდები როცა სპორტით არიან დაკავებულები, ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევენ და დროს ფუჭად არ კარგავენ, ეს მათ კარგ ადამიანად ჩამოყალიბებაშიც ეხმარება.

> ***„მინდა მოვიგო მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონატი, რომელიც ოსაკაში (იაპონიაში) ტარდება. ეს ტურნირი ქართველს ჯერ არ მოუგია. გამარჯვებას სულ იაპონელები ზეიმობენ.. აქ ავიღე საპრიზო ადგილი და ცოტა გამოცდილება მაქვს***

ლევან ცინცაძის აღსაზრდელებმა ვარჯიშები 2 იანვარს განაახლეს. მითხრა, ვარჯიშს ყოველთვის „ბედობის“ დღეს ვიწყებთ, კარგად გვაქვს დაცდილი და წელი აუცილებლად წარმატებული იქნებაო.

- დათო, რას ეტყვი იმ ახალგაზრდებს, ვისაც სპორტში კარგი შედეგის მიღწევა სურს?

- მთავარია, იცხოვრო ცხოვრების ჯანსაღი წესით. არ დაგიმალავთ, ადრეულ ასაკში ერთხელ სიგარეტსაც გავუსინჯე გემო, სწრაფადვე მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩემი საქმე. ორი გზიდან ერთ-ერთს უნდა გავყოლოდი და მე სწორი გზა ავირჩიე, რომელიც სპორტსმენის წარმატებას განამტკიცებს. არ მესმის იმ სპორტსმენის, ვინც სვამს, ეწევა...

- რა სურვილის ახდენას ნატოზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ლევან ცინცაძესთან ვარჯიშობს. იგი არაერთი წელია სახელდება წლის საუკეთესო მწვრთნელად, შარშანაც ასე იყო. მას ვთხოვეთ დავითზე რამდენიმე სიტყვის თქმა.

- შვიდი წლის წინ დავიწყეთ ერთად მუშაობა და ამ ხნის განმავლობაში რა შედეგსაც მივაღწიეთ, ეს დიდი შრომითაა მოპოვებული, როცა ადამიანი პასუხისმგებლიანია, შრომისმოყვარე, დისციპლინირებული, სხვას პატივს სცემს, საქმის ერთგულია და, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობაც თუ უწყობს ხელს, მაშინ შედეგიც არ აყოვნებს. ვისთანაც ვმუშაობ, ყველა სპორტსმენისგან მოვითხოვ იმ თვისებებს, რაც ზემოთ ჩამოვთვალე. თუ საქმეს მოჰკიდებენ ხელს, ბოლომდე უნდა მიიყვანონ.. როცა ჩემს ბიჭებს პირველად ნახავენ, ყველას უჩნდება შეკითხვა, როგორ ვართ ასე „ერთნაირები“. თავიდან ასე არ იყო, ზოგს ქუჩისკენ გაურბოდა თვალი, რთული იყო მათთან მუშაობა. მაგრამ შემდეგ, ვინც ჩვენს ჯგუფში დარჩა, ყველამ ხასიათი შეიცვალა, ჩამოყალიბდა. ახლა დარბაზში ხუთი მოქმედი ევროპის ჩემპიონი ვარჯიშობს, ჩემი აღზრდილები. მათი წარმატება ძალას მმატებს, ესე იგი, სწორი გზით მივდივარ. მჯერა, მალე კიდევ უფრო მეტი ჩემპიონი გვეყოლება. დღევანდელი წარმატებული სპორტსმენების მაგალითზე თაობები გაიზრდებიან. გასული წელი მნიშვნელოვანი წარმატებებით დავასრულეთ, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვამბობთ: „რაც იყო, დამთავრდა“. მეორე დღიდან ყველაფერი - გაანალიზება, საკუთარ თავზე მუშაობა თავიდან იწყება. წელს მნიშვნელოვანი ტურნირები გვაქვს როგორც ჩვენთან, ისე ქვეყნის გარეთ, სადაც აუცილებლად წარმატებებისთვის ვიბრძოლებთ. კალენდარი საკმაოდ დატვირთულია. სასიხარულოა, რომ ყველა ცდილობს ჩვენს დახმარებას, რადგან ფინანსური რესურსის გარეშე ძნელია დიდი საქმის კეთება. მადლობა ყველას, ვინც გვეხმარება და გვერდით გვიდგას. მიხარია ისიც, რომ დათომ და კიდევ რამდენიმე ჩემმა აღზრდილმა უკვე მწვრთნელობაც შეითავსეს და საკმაოდ კარგადაც მუშაობენ. ეს ყველაფერი ხელს უწყობს რეგიონში სპორტის ამ სახეობის განვითარებასა და პოპულარიზაციას. დათოს უკვე წარმატებული სპორტსმენებიც ჰყავს. მათ შორის მისი ძმაც არის, დიმიტრი. ყველაფერი ეს რწმენას გვაძლევს, რომ რეგიონში ახალი ჩემპიონები გაიზრდებიან, - გვითხრა ლევან ცინცაძემ.

> ***„წელს მნიშვნელოვანი ტურნირები გვაქვს როგორც ჩვენთან, ისე ქვეყნის გარეთ, სადაც აუცილებლად წარმატებებისთვის ვიბრძოლებთ. კალენდარი საკმაოდ დატვირთულია. სასიხარულოა, რომ ყველა ცდილობს ჩვენს დახმარებას, რადგან ფინანსური რესურსის გარეშე ძნელია დიდი საქმის კეთება***

წარმატებული ყოფილიყოს შეგირდისა და ოსტატისთვის ეს წელი.

„ჩვენ გუნდურად ვმუშაობთ და ვქმნით ახალ შესაძლებლობებს“

ნაირა ფუტკარაძე 555 12 72 07

მარიამ ბარამიძეს ქედელები (და არა მარტო) კარგად იცნობენ. მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი მოსწავლეების უსაყვარლესი პედაგოგია, ამავე დროს ის მნიშვნელოვან აქტივობებს ახორციელებს საგანმანათლებლო სფეროში. მარიამი გაზეთ „აჭარის“ სტუმარია.

- სანამ პედაგოგი გახდებოდით...

- სანამ პედაგოგი გავხდებოდი, მიტაცებდა ხელოვნება, სპორტი, ჰუმანიტარული საგნები. მიყვარდა ქართული ენა და ლიტერატურა, ვწერდი ლექსებს და დაჯილდოებულიც ვარ 2012 წელს. მაქვს ბევრი პრიზი სპორტშიც, ასევე, სერტიფიკატები და დიპლომები.

ამჟამად ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს საჯარო სკოლაში - ვასწავლი ფილოლოგიის განხრით. ვარ სერტიფიცირებული მასწავლებელი. ვცდილობ, საგაკვეთილო პროცესი ყოველთვის სახალისო და ნოვაციური იყოს, ამიტომ ვიყენებ ციფრულ ტექნოლოგიებს.

- როგორც ვიცი, მონაწილეობთ სხვადასხვა პროექტსა და შეხვედრების ორგანიზებაში, თანამშრომლობთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

- დიახ, ვთანამშრომლობ არასამთავრობო ორგანიზაცია „საორსასთან“, აქედან დაიწყო ყველაფერი. ეს ორგანიზაცია ზრუნავს ხალხზე, მათი ცნობიერების ამაღლებაზე. მეც მათ შორის ვარ. როდესაც „საორსაში“ გამოცხადდა ვაკანტური ადგილი საზოგადოებრივი განვითარების მენეჯერის პოზიციაზე, კონკურსში მივიღე მონაწილეობა და დავინიშნე კიდეც ამ თანამდებობაზე. ჩემთან ერთადაა საზოგადოებრივი განვითარების ოფიცერი მალვინა აბაშიძე. გუნდურად ვმუშაობთ და ვქმნით ახალ შესაძლებლობებს ადამიანებისთვის. ასევე, ექვსმა ქალმა სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, ორი წლის წინ დავაარსეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ავრორა“, ვზრუნავთ საზოგადოებაზე, ვისმენთ მოსახლეობის პრობლემებს, ვეხმარებით მათ..

- ფოკუს-ჯგუფიც შექმენით, რა არის მისი მიზანი და ამ მხრივ რა აქტივობები განახორციელეთ?

- მისი მიზანია საზოგადოების გაძლიერება, თანადგომა, ცნობიერების ამაღლება, თემების გაძლიერება. ვცდილობთ, დავეხმაროთ თანამოქალაქეებს, განსაკუთრებით, ქალბატონებს, რათა იყვნენ თავიანთ უფლებებში გარკვეული.

- კარგი განათლების გარდა, კიდევ რა არის საჭირო, პროფესიაში წარმატებული რომ გახდე?

- მოტივაცია, ახლობელი ადამიანების თანადგომა და თავდაუზოგავი შრომა.

- გასულ და ამ საუკუნის მასწავლებლების შედარებისას რა განსხვავებას ხედავთ?

- ძალიან დიდი განსხვავებაა. XXI საუკუნის მასწავლებლები უფრო ღია და მეგობრულები არიან მოსწავლეებთან, მათ შორის არ არის დაძაბულობა, გულმოდგინედ მუშაობენ თავიანთ მოსწავლეებთან, ცდილობენ მათ წახალისებას სხვადასხვა აქტივობით. იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებსა და პლატფორმებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გასულ საუკუნეებშიც იყვნენ მსგავსი მასწავლებლები, უბრალოდ, მათ აკლდათ თავისუფლება. დღეს მოსწავლეზეა გადატანილი დიდი ყურადღება. ბევრი შრომა გვიწევს, ვზრუნავთ როგორც მოსწავლის, ასევე პირად განვითარებაზე.

- რა არის მთავარი ლიტერატურის სწავლებისას, პროგრამებით ხელმძღვანელობთ თუ თავად აკეთებთ არჩევანს?

- პროგრამა აუცილებელია, თუმცა შეიძლება მნიშვნელოვანი თემები ჩავრთოთ საგაკვეთილო პროცესში და დისკუსია მოვაწყოთ, რომ გაკვეთილი უფრო საინტერესო, შემეცნებითი და კრეატიული გახდეს.

- ადამიანები, რომელთა არსებობამ და მაგალითმა ძალა შეგმატათ?

- ჩემი ოჯახი, მასწავლებლები, ლექტორები, ასევე ორგანიზაცია „საორსა“.

- თვისება, რომელიც ყველაზე მეტადაა თქვენში განვითარებული?

- ვარ მოწესრიგებული და საქმეს თუ ვკიდებ ხელს, ბოლომდე მიმყავს.

- რა გიტაცებთ, რა მოგწონთ და რას ვერ აპატიებთ ადამიანს?

- მიტაცებს ხელოვნება, მომწონს პოზიტიური ადამიანები, ვერ ვაპატიებ ადამიანს ღალატს.

- ტრადიცია და ნოვატორობა, თქვენ საითკენ იხრებით?

- მიყვარს ქართული ტრადიცია, თუმცა ნოვატორულ იდეებს უპირატესობას ვანიჭებ.

- კითხვა, რომელსაც დაუსვამთ საკუთარ თავს?

- არის რამე, რასაც ადამიანი ვერ შეძლებს?

გოგო, რომელიც სოფლად მცხოვრებთა ყოფას ახლო რაკურსით გვაცნობს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ჩვენი სტუმარია აჭარის ტელევიზიის გადაცემის „ერთი დღე სოფელში“ ავტორი და წამყვანი ***ნათია თავდგირიძე,*** *რომელმაც საქართველოს არაერთი კუთხე, არაერთი სოფელი შემოიარა და კიდევ უფრო ახლოს გაგვაცნო იქ მცხოვრები ადამიანების ყოველდღიურობა, ადათ-წესები. ამბობს, რომ სიყვარული, რომელსაც ადამიანებისგან გრძნობს, უდიდეს ძალას და ენერგიას აძლევს, რომ კიდევ უფრო მეტი შემართებით აკეთოს საავტორო გადაცემა, რომელიც ათ წელზე მეტია რეიტინგების სიაში ლიდერობას არ თმობს.*

- ცოტა რამ ბავშვობაზე...

- ბათუმში დავიბადე და გავიზარდე, ძალიან ლაღი და ბედნიერი ბავშვობა მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მშობლებისგან განებივრებული ბავშვი ვიყავი, თავს არასდროს ვაძლევდი მოდუნების საშუალებას, ბევრს ვმუშაობდი საკუთარ თავზე, მუდმივად ორიენტირებული ვიყავი, რაც შეიძლება მეტი და მრავალფეროვანი ცოდნა მიმეღო. ძალიან მიყვარდა ლიტერატურაც, განსაკუთრებით - პოეზია, ვწერდი ჩანახატებსაც და საკუთარი ფიქრები, ემოციები, ფურცელზე გადმომქონდა. სულ მსურდა, ჟურნალისტი გავმხდარიყავი და ბედნიერი ვარ, რომ ბავშვობისდროინდელი ოცნება ავისრულე.

- იმისთვის, რომ გენდონ და შეგიყვარონ...

- გულწრფელობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ასევე, უნდა იყო დაუღალავი, შეუპოვარი, უნდა გიყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებ. არ ვამბობ, რომ საუკეთესო ვარ, ჯერ კიდევ ბევრია საჭირო პროფესიული ზრდისთვის, მაგრამ ნამდვილად ვარ გულწრფელი და მიყვარს ჩემი საქმე, რასაც ადამიანები გრძნობენ და ხედავენ. შესაბამისად, დღითი დღე იზრდება ჩემი გადაცემის მაყურებელთა რაოდენობა.

- ძალიან კარგად იცნობთ ქართულ სოფლებს, ადათ-წესებს და იმ ადამიანებს, რომლებიც სოფელს ამაგრებენ...

- ჩემი გადაცემა უკვე 10 წლისაა, ამდენივე წელია არ კარგავს პოპულარობას, რაც მთავარია, ხალხის სიყვარულს. ყველაზე გულიანი და შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ მაღალმთიან რაიონებში, რომლებსაც უფრო მეტი ყურადღება და დაფასება სჭირდებათ ჩვენგან, ისინი ჩვენი წინაპრების ადათ-წესებს ინარჩუნებენ, არ კეტავენ მამა-პაპისეულ სახლებს და გვაძლევენ საშუალებას, ვიამაყოთ მათით. დიდი სიყვარულით მიმიღეს და შემიყვარეს, ნებისმიერი ოჯახის კარი რომ გავაღო, იტყვიან, „ჩვენი გოგო, ჩვენი ნათია მოვიდაო“, რაც ძალიან მაბედნიერებს. ჩემი მიზანია ვაჩვენო საზოგადოებას, როგორი ლაღები, შინაგანი თავისუფლებით გამორჩეული ადამიანები არიან მთაში, არ ტოვებენ ულამაზეს სახლსა და ეზოს. მომავალ თაობას უღვიძებენ სოფლის სიყვარულს. ყოველთვის მზად ვარ, დავეხმარო, წარმოვაჩინო და მაქსიმალური გავაკეთო მათთვის. ჩემთვის სოფელში მცხოვრები ადამიანები, რომლებიც ინარჩუნებენ ტრადიციებს, ძალიან ძვირფასები არიან.

- გაგვაცანით ოჯახის წევრები.

- მყავს მეუღლე სულხან ლორთქიფანიძე და ორი შვილი - ანი და სანი. ანი 13 წლისაა, სწავლობს ბათუმის მეორე საჯარო სკოლაში, საკმაოდ კარგი მოსწავლე, ჭკვიანი გოგოა. ვფიქრობ, თავისუფალი და განათლებული ადამიანი გაიზრდება, რაშიც აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას. რაც შეეხება ალექსანდრეს, სანის, ერთი წლისაა, პოზიტიური და ლაღი ბავშვია. ჩემი შვილები ენერგიას, ძალას მაძლევენ, ანი ცდილობს მიიღოს მონაწილეობა სანის გაზრდაში. ასევე დედაჩემი, ძმა, მეუღლის მშობლები, ყველა აქტიურად მიჭერს მხარს, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ.

- გიდი რომ იყოთ, რას აჩვენებდით დამთვალიერებლებს აჭარაში?

- გიდი უკვე ვარ, შარშან ავიღე სერტიფიკატი და ვაპირებ, ჩემი ინდივიდუალური საავტორო ტურები გავაკეთო. თუმცა არ მინდა რომ ეს იყოს შაბლონური ტური. მე რომ გიდი ვიყო, წავიყვანდი სტუმრებს დოლოგანში. ჩემი მეუღლის სოფელია ქედის მუნიციპალიტეტში, სადაც ძალიან გვინდა გვქონდეს სახლი. სიბერესაც სიამოვნებით გავატარებდით იქ. სტუმრებს აუცილებლად ვაჩვენებდი სოფელში მდებარე ლაზური ტიპის სახლს, სადაც დღემდე ცხოვრობენ ადამიანები, ბადის ქსოვას აჭარისწყლის შესართავთან, ასევე ვაჩვენებდი მეძიბნის ჩანჩქერს ქედაში და წავიყვანდი ნაკონაღვარის მთაზე, სადაც მოიალაღეები მერისიდან და ქედის სხვა სოფლებიდან რძის პროდუქტების მოსამზადებლად დადიან. გავაცნობდი მოიალაღეების ცხოვრებას, მემთეური ქალბატონების ყოფას. გიდი რომ ვიყო, ტურისტებს აუცილებლად წავიყვანდი ჭვანის ხეობაში, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ხეობა აჭარის საგანძურია, ასევე, ოთოლთას ციხეზე, ჩემი გადაცემის თითქმის ყველა „პრომო“ ამ ადგილიდან მაქვს გადაღებული, იმდენად კარგად მოსჩანს პეიზაჟები. გადავინაცვლებდი ხულოში და ვაჩვენებდი თაგოს, ასევე ბეღლეთს, სადაც იყო ულამაზესი და უძველესი მეჩეთი, გავაცნობდი იქაურთა ტრადიციულ ხელსაქმეს. ღორჯომშიც წავიყვანდი, რადგან იქ სულ სხვა აჭარაა. მინდა, რომ ჩვენი კუთხის სტუმარმა ხელვაჩაური, ქედა, ხულო, შუახევი, ქობულეთი ერთნაირად შეიგრძნოს და ამავდროულად, დაინახოს განსხვავება. როცა მექნება საავტორო ტური, ვისურვებ, რომ არა მხოლოდ უცხოელები, არამედ ქართველებიც დაინტერესდნენ ულამაზესი კუთხით.

- ბათუმი - თქვენთვის...

- მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს მოგზაურობა და დღემდე ევროპის ბევრ ლამაზ ქალაქს ვსტუმრობდი, ბათუმი მაინც ჩემთვის ნომერ პირველი ქალაქია. აქ ფეხით შემიძლია ნებისმიერი ქუჩა, სკვერი, ადგილი შემოვიარო, არ ვიჩქარო, რადგან ვიცი, რომ ყველგან ჩემი ახლობელი, მეგობარი, ნათესავი და, უბრალოდ, საყვარელი ადამიანი შემხვდება. ეს ის ადგილია, სადაც ავიდგი ფეხი, სადაც განვვითარდი, ვსწავლობდი, ვსწავლობ, ვმუშაობ. ვფიქრობ, რომ საცხოვრებლად ბათუმზე ძვირფასი და ლამაზი ქალაქი არსად არ არის.

- საკუთარი თავის დახასიათება რომ გთხოვონ...

- ნათია თავდგირიძე არის ლაღი, პოზიტიური, მიზანდასახული და ძალიან შრომისმოყვარე გოგო, რომელიც ორიენტირებულია განვითარებაზე, მაქსიმალურად კარგი საქმეების კეთებაზე სხვების სასიკეთოდ. გადაცემაც „ერთი დღე სოფელში“ იმიტომ არ კარგავს საზოგადოების სიყვარულს, ამდენი წელია ამით რომ ვეხმარები ადამიანებს. ეს არის ერთადერთი პროექტი მთელ საქართველოში, რომელმაც გაუძლო დროს და რომელიც ასე სიღრმისეულად წარმოაჩენს სოფლად მცხოვრები ადამიანების ყოფიერებას.

> ***სტუმრებს აუცილებლად ვაჩვენებდი სოფელში მდებარე ლაზური ტიპის სახლს, სადაც დღემდე ცხოვრობენ ადამიანები, ბადის ქსოვას აჭარისწყლის შესართავთან, ასევე ვაჩვენებდი მეძიბნის ჩანჩქერს ქედაში და წავიყვანდი ნაკონაღვარის მთაზე, სადაც მოიალაღეები მერისიდან და ქედის სხვა სოფლებიდან რძის პროდუქტების მოსამზადებლად დადიან***

პრობლემა

ტურისტულ ქალაქს არ ეკადრება დაზიანებული ქვაფენილი და ფილებამოყრილი ტროტუარები

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმის ცენტრალური, ქვაფენილიანი ქუჩები ბევრ ადგილზე დაზიანებულია. მემედ აბაშიძის, ვაჟა-ფშაველას, ზვიად გამსახურდიას, ფარნავაზ მეფისა და კიდევ ბევრ სხვა ქუჩაზე, ქვაფენილი თვეობით ამოყრილია. შედეგად, ჩაღრმავებული ადგილები წვიმის დროს წყლით ივსება, რაც დამატებით დისკომფორტს ქმნის როგორც ავტომობილების მძღოლებისთვის, ასევე ქვეითებისთვის



> ***დაზიანების მიზეზი მშენებარე ობიექტებზე მიმდინარე სამუშაოებიც უნდა იყოს. ტროტუარს, რომელშიც მერიამ ბიუჯეტის სახსრები დახარჯა, სულ მალე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასჭირდება, თუმცა ეს ერთადერთი ადგილი არაა, სადაც მსგავსი მდგომარეობაა. ხშირად ე. წ. შერემონტების დროს ქვებით შექმნილი დეკორაციების სიმეტრია და ორნამენტებიც დარღვეულია, ზოგან ადგილზეა მიმოყრილი მორჩენილი ქვები***

კიდევ ერთი, მსგავსი, პრობლემა ფილებამოყრილი ტროტუარებია. მაგალითად, ანგისის ქუჩაზე სულ რამდენიმე თვის წინ დაგებული ფილაქანი უკვე დაზიანებულია. დარგის სპეციალისტი არ სჭირდება იმის დანახვას, რომ სამუშაოების ხარისხი გარკვეულ კითხვებს აჩენს. გარდა ამისა, დაზიანების მიზეზი მშენებარე ობიექტებზე მიმდინარე სამუშაოებიც უნდა იყოს. ტროტუარს, რომელშიც მერიამ ბიუჯეტის სახსრები დახარჯა, სულ მალე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასჭირდება, თუმცა ეს ერთადერთი ადგილი არაა, სადაც მსგავსი მდგომარეობაა. ხშირად ე. წ. შერემონტების დროს ქვებით შექმნილი დეკორაციების სიმეტრია და ორნამენტებიც დარღვეულია, ზოგან ადგილზეა მიმოყრილი მორჩენილი ქვები.

- ყოველ დილით, როცა სამსახურში მივდივარ, სადარბაზოდან გამოსვლას ფეხის წამოკვრით ვიწყებ. დაცდილი მაქვს - თუ არ წამოვკარი, მხოლოდ ის დღე შეიძლება ჩავთვალო წარმატებულად. ტროტუარებზე ფილები გამოსაცვლელია. კიდევ ერთი პრობლემაა - წვიმის დროს დაზიანებული ფილების ქვეშ წყალი გროვდება და შემთხვევით თუ დააბიჯე, ისე „გულიანად“ ამოასხამს, მთლიანად გასველებს. მეზობლის 4 წლის ბავშვი ყოველდღე ეცემა და ყველა შარვალი გახეული აქვს ლამის. ფარნავაზ მეფის ქუჩაზე გვაქვს ეს სიტუაცია, ესეც ხომ ქალაქის გარეუბანი არ არის? ამასწინათ მოხუცი ქალბატონი წაიქცა, წამში მიცვივდა ხალხი... არც ვიცი, რა ბედი ეწია. ხელი ან ფეხი რომ მოეტეხა, ვინ აგებდა პასუხს?! საშინელებაა ყოველდღე ამ სანახაობას უყურებდე და ჩუმად იყო. ცოტა მიაქციონ ყურადღება ქალაქს! - ამბობს ჩვენი თანაქალაქელი ირმა სურმანიძე.

- მანქანა არ მყავს და ბათუმში გადაადგილება, ძირითადად, ფეხით მიწევს. სიარული კი მიყვარს, მაგრამ ბათუმში ეს გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ქალაქის ცენტრს გასცდები თუ არა, გგონია, სხვა ქალაქში მოხვდი, სადაც ავდრისას ქუჩაში მუხლებამდე წყალი შეიძლება იდგეს და ტალახით სავსე გუბეებზე დაგჭირდეს ხტუნვა. თუმცა პრობლემები მხოლოდ ქალაქის გარეუბნებში არ არის, ცენტრშიც კი უამრავი პრობლემაა, რაც, ძირითადად, მოუწესრიგებელ გზას და ტროტუარებს ეხება. მერია ამბობს, რომ გზები კეთდება და ამიტომაცაა გადათხრილი. კი, ჩანს, რომ სამუშაო პროცესები მიდის, მაგრამ აქვე ჩნდება სხვა კითხვა: რამდენად სწორად მიდის ეს სამუშაოები?! რამდენად იცის ამ ხალხმა, რას აკეთებს?! 5-მეტრიანი მონაკვეთის შესაკეთებლად ქუჩა ორი თვე რომ გადათხრილი იქნება, ნებისმიერ მოქალაქეს გაუჩნდება ეს კითხვა. ჩემი აზრით, სათანადოდ არ კონტროლდება და ის სამსახურები, რომლებიც ამას აკეთებენ, ამიტომ, ვფიქრობ, ცოტა სხვანაირი, უფრო აქტიური მიდგომაა საჭირო ამ საკითხისადმი. ქუჩას სჭირდება მოვლა და თუ გვაქვს ამბიცია, ტურისტული ქალაქი გვქონდეს, ამაზე უნდა ვიზრუნოთ, - ამბობს რამაზ დუმბაძე.

ამ საკითხთან დაკავშირებით ბათუმის მუნიციპალური სერვისების სააგენტოს დავუკავშირდით და ვკითხეთ, რა სიხშირით იცვლება ქალაქში ფილები? ვუთხარით, რომ ზოგ ადგილას, ცენტრალურ ქუჩებზე უსახური ფილაქნებია დაგებული, რაც ქალაქის იერსახეს აუშნოებს... რომ მოსახლეობა გატეხილი და უსწორმასწოროდ დაგებული ფილების გამო შეწუხებულია, რადგან სიარულისას მათზე ფეხის წამოკვრის ან წაქცევის რისკი ექმნებათ. ვკითხეთ ისიც, ამჟამად სად იცვლება ფილები და რას გეგმავენ, რაზეც ასეთი პასუხი მივიღეთ:

„ბათუმის მუნიციპალური სერვისების სააგენტო დაზიანებული ქვაფენილიანი ქუჩების შეკეთებას ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს. დღეს სამუშაოები მ. აბაშიძისა და რუსთაველის ქუჩებზე მიმდინარეობს“.

ასეთი „ამომწურავი“ პასუხის მიუხედავად, დაგვრჩა კითხვა: თუ ყოველდღიურ რეჟიმში ცვლიან დაზიანებულ ფილებს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რატომ გვაქვს ფეხის წამოკვრის და თავ-პირის დამტვრევის საშიშროება?!

საუკუნის მშენებლობამ გაამართლა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

უკვე მეოთხე წელია, „შუახევიჰესი“ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. საზოგადოების ერთი ნაწილი მასთან დაკავშირებით ათასნაირ ჭორს აგორებს. მათ გასაქარწყლებლად კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მენეჯმენტს მივმართეთ.

- „შუახევიჰესი“ საუკუნის მშენებლობად მონათლეს...

- „შუახევიჰესი“ ყველაზე დიდი ენერგოპროექტია, რაც კი დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოში განხორციელებულა. შუახევის 187 მგვტ სიმძლავრის ჰესების კასკადი დადგმული

სიმძლავრით მეორე ენერგოობიექტია ენგურის შემდეგ, რომელიც ამცირებს საქართველოს დამოკიდებულებას იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე, ზრდის შიდა წარმოებას და აძლიერებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას. უკვე მეოთხე წელია, „შუახევიჰესი“ ელექტროენერგიას უწყვეტად აწვდის საქართველოს მოსახლეობას. 2020 წლიდან დღემდე, ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია სრულ თანხვედრაში იყო წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან. „შუახევიჰესი“ ყველა ტექნიკური პარამეტრით ერთ-ერთი სწორად დაგეგმილი პროექტია, რაც შარშან კიდევ ერთხელ დადასტურდა.

- რა ვალდებულებები გქონდათ შარშან და რა მაჩვენებლებით დაასრულეთ?

- „შუახევიჰესის“ მიერ ელექტროენერგიის გამომუშავებამ დაგეგმილ მაჩვენებელს გადაჭარბა. სამიზნე მაჩვენებელი იყო 400 მილიონი კილოვატსაათის და გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ 444 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: მაღალპროფესიული გუნდი, რომელიც უწყვეტ რეჟიმში შრომობს, რათა გამომუშავებული ელექტროენერგიით ქსელის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს ყოველგვარი ტექნიკური გამოწვევის გარეშე, ჰიდროელექტროსადგურის მაღალი ხარისხის აღჭურვილობა, რომლის ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს შესაბამისი გუნდი 95%-იანი ხელმისაწვდომობით. ყოველივე ამან მოგვცა შესაძლებლობა, მიგვეღო მაქსიმალური სარგებელი გაზრდილი მოდინებიდან და გამოგვემუშავებინა მეტი ელექტროენერგია. „შუახევიჰესი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ენერგოობიექტია ქართული ენერგოსისტემისთვის, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისკენ სვლას. ჰესის დაახლოებით 5 პროცენტი ზრდის ელექტროენერგიის შიდა წარმოებას.

- სარეალიზაციოდ უცხოეთი, კერძოდ, თურქეთი და სამხრეთ-დასავლეთი აზია რატომ აირჩიეთ?

- როცა ქვეყანაში ელექტროენერგიის შიდა წარმოება ჭარბია, ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ექსპორტზე გადის, რითაც ზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს. შარშან, როგორც აღვნიშნე, „შუახევიჰესის“ მიერ გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ 444 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, ხოლო თურქეთში მაისში, ივნისსა და ივლისში ექსპორტზე გავიდა 115 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

- ზოგიერთები ტყეებში ნაძვის გახმობას თუ შემოდგომაზე ინტენსიურ ნალექებს ჰესს აბრალებენ. მათ რა პასუხს გასცემთ?

- ჩვენი კომპანია ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს გარემოსდაცვითი საკითხებს, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით მუდმივად აკვირდება ფლორასა და ფაუნას, მონიტორინგის მიზანია შედეგების გაანალიზება და ნებისმიერი სახის ზემოქმედების აღმოჩენის შემთხვევაში, მყისიერი რეაგირება. ამ დრომდე, გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ფაქტები არ გამოვლენილა. უფრო მეტიც, კომპანია მუდმივად ცდილობს საკომპენსაციო ღონისძიებების გატარებას, რომელთა შორისაა ტყის გაშენება შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში. ამ დრომდე კომპანიას 10 000-მდე ხე აქვს დარგული მთიანი აჭარის ცალკეულ ტერიტორიებზე.

- როგორია ამ ენერგომატარებლის წვლილი ხულოს, შუახევისა და ქვეყნის ბიუჯეტის შევსებაში?

- კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ, მხოლოდ ქონების გადასახადის სახით, უკვე გადახდილია 50 მილიონ ლარზე მეტი, რაც, ბუნებრივია, აისახება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების (ხულო, შუახევი) და ქვეყნის ბიუჯეტებში.

- ჰესის ნორმალურ ოპერირებაში როგორია ქართველი სპეციალისტების წვლილი?

- როგორც „შუახევიჰესის“ მშენებლობის პირველივე დღიდან იყო გაცხადებული, ოპერირების ეტაპზე მას მართავენ ქართველი ინჟინრები. დღეს კომპანიის თანამშრომელთა 98 პროცენტს ქართველი ინჟინრები შეადგენენ.

- მშენებლობის პროცესში თუ მიმდინარეობდა მათი გადამზადება?

- კომპანიის თანამშრომლები მუდმივად ესწრებიან სხვადასხვა სემინარს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. მათი ნაწილი გადამზადდა ინდოეთში, ჩვენი კომპანიის მფლობელ TATA Power-ში.

- საუბრობდნენ მდინარე აჭარისწყალზე თითქმის ანალოგიური სიმძლავრის მეორე ჰესის აშენებაზე...

- კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ შუახევის ჰესების კასკადის მშენებლობა განხორციელდა და უკვე ამ ეტაპზე ოპერირება მიმდინარეობს.

- „აჭარისწყალი ჯორჯია“ ხულოსა და შუახევში სოციალური და საგანმანათლებლო პროექტების თანადაფინანსებას ისევ აგრძელებს, ეს ინვესტორის ქველმოქმედებაა თუ...

- ეს არის ჩვენი კორპორაციული პასუხისმგებლობა. მშენებლობის პერიოდიდან დღემდე ჩვენი სოციალური პროგრამების პორტფოლიო ასობით გრძელვადიან და შედეგზე ორიენტირებულ პროექტს ითვლის. თემთან დიალოგი და კომუნიკაცია ელექტროენერგიის გამომუშავების ეტაპზეც გრძელდება. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები მუდმივად ხვდებიან მოსახლეობას და აწვდიან ინფორმაციას კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით, მათთან ერთად იგეგმება სხვადასხვა სოციალური პროექტი. კარგად ვაცნობიერებთ ჩვენს პასუხისმგებლობას ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე, თავს მოვიაზრებთ მათ წევრად და ჩვენი მხარდაჭერით გვინდა „საიმედო მეზობელი“ გავხდეთ „შუახევიჰესის“ არეალში მცხოვრები მოსახლეობისთვის.

- წელს რა პროექტებში აპირებთ ჩართვას?

- განათლება და ცნობიერების ამაღლება კვლავ რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. კვალიფიცირებული კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით, კომპანია ახორციელებს სტუდენტთა სტაჟირებას „შუახევიჰესში“. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ელექტრომექანიკური დეპარტამენტის ზედამხედველობით, გაეცნენ ელექტროენერგიის წარმოების სხვადასხვა ასპექტს, შეისწავლეს ჰესის უსაფრთხოების საკითხები და მაღალი ძაბვის ობიექტების სპეციფიკა. შარშან კომპანიამ ელექტრობის პროგრამის ფარგლებში 9 სტუდენტი გადაამზადა. მთიანი აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილი მოწყვლადია, უსახსრობის გამო ოჯახები ვერ ახერხებენ აბიტურიენტთა სათანადო მომზადებას. მათი ხელშეწყობის მიზნით, „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ სოფელ დიდაჭარაში გახსნა ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი, სადაც ამჟამად 3 სოფლიდან 22 აპლიკანტი მეცადინეობს. ცენტრში მოქმედებს 6 საგნობრივი ჯგუფი: ქართული ენა, მათემატიკა, ისტორია, ბიოლოგია, ქიმია და ინგლისური ენა. „აჭარისწყალი ჯორჯია“ კვლავაც აგრძელებს სტუდენტთა დაფინანსებას. ახლაც, კომპანიის ყოველთვიურ სტიპენდიას 5 სტუდენტი იღებს. თემების გაძლიერება მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ისევ გრძელდება. კომპანიამ 4 ფერმერს დაუფინანსა ბიზნესიდეა, რომელიც მოიაზრებდა საოჯახო სასტუმროს კეთილმოწყობას, კაკლის საშრობი დანადგარის შეძენას, ჟოლოს მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნას. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, იგი ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად, პარტნიორობის ფარგლებში ხორციელდება. შარშან კომპანიამ შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები დააფინანსა: სოფელ წაბლანა-წაბლიანის წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობა (ხულოს მუნიციპალიტეტი); ჩანჩხალოს ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა (შუახევის მუნიციპალიტეტი); ბაგა-ბაღის მშენებლობა სოფელ მახალაკიძეებში (შუახევის მუნიციპალიტეტი); მახალაკიძეების წყალსადენის სათავე ნაგებობაზე საფილტრი დანადგარის მოწყობა.

- დიდაჭარის წყალსაცავი ტურისტულ კერად იქცა. სამომავლოდ რა სიახლეებს გვთავაზობთ?

- მოხარული ვიქნებით, თუ დიდაჭარის კაშხლის ტერიტორია ტურისტებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი ადგილი გახდება. როგორც კი დაიგეგმება სიახლეები, აუცილებლად გაცნობებთ.

> ***„ჩვენი კომპანია ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს გარემოსდაცვით საკითხებს, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით მუდმივად აკვირდება ფლორასა და ფაუნას, მონიტორინგის მიზანია შედეგების გაანალიზება და ნებისმიერი სახის ზემოქმედების აღმოჩენის შემთხვევაში, მყისიერი რეაგირება. ამ დრომდე, გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ფაქტები არ გამოვლენილა. უფრო მეტიც, კომპანია მუდმივად ცდილობს საკომპენსაციო ღონისძიებების გატარებას“***

„ახალი სამხედრო დახმარება უკრაინას შეტევების განხორციელების საშუალებას მისცემს“

ეს სიტყვები ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს ეკუთვნის. მან „რამშტაინის“ ფორმატში შეხვედრაზე განაცხადა: იმ ფაქტს, რომ უკრაინა ჯავშანტექნიკის, ქვეითთა საბრძოლო მანქანებისა და ტანკების ასობით ახალ ერთეულს მიიღებს, კიევისთვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება, რადგან ეს დახმარება უკრაინელებს არა მხოლოდ რუსეთის ახალი შეტევებისგან თავდაცვის, არამედ ტერიტორიების დასაბრუნებლად საკუთარი შეტევითი ქმედებების განხორციელების საშუალებას მისცემს.

კითხვაზე, აზარალებს თუ არა გერმანია ევროპულ ერთიანობას, რაკი Leopard2 ტანკების გადაცემაზე თანხმობა ჯერ არ განაცხადა, სტოლტენბერგმა უპასუხა, რომ „კონსულტაციები გაგრძელდება“. მან აღნიშნა, რომ ომის დაწყებიდან დახმარების ნაირსახეობები ყოველთვის იცვლებოდა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის თქმით, გერმანია ერთ-ერთი მოკავშირეა, რომელიც ყველაზე მეტად ეხმარება უკრაინას:

„არტილერია, საბრძოლო მასალა, საჰაერო თავდაცვის სისტემები და ახლა Marder-ის ტიპის ჯავშანტრანსპორტიორები... გერმანია მართლაც არის ძალიან ბევრ სფეროში უკრაინის დახმარების ლიდერი“, - განაცხადა სტოლტენბერგმა.

1 მილიარდი ევროს ოდენობის პაკეტი უკრაინას – გერმანიისგან

გერმანული გამოცემა ZDF-ის ცნობით, გერმანიამ უკრაინისთვის 1 მილიარდი ევროს ოდენობის სამხედრო დახმარების პაკეტი დააანონსა. ამის შესახებ გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ბორის პისტორიუსმა „რამშტაინის“ ფორმატის შეხვედრის დროს განაცხადა. მისი თქმით, კიევისთვის სამხედრო დახმარების პაკეტში Marder-ის 40 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, Gepard-ის ტიპის 7 თვითმავალი საზენიტო დანადგარი, Patriot-ის ერთი საზენიტო-სარაკეტო სისტემა, IRIS-T-ის კიდევ ერთი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი და მისთვის საჭირო რაკეტები შევა. პისტორიუსმა აღნიშნა, რომ ქვეითთა საბრძოლო მანქანებსა და Patriot-სთვის უკრაინელი სამხედროების წვრთნა იანვრის ბოლოს დაიწყება.

„ნომერ 1 პრიორიტეტი - ეს არის საჰაერო თავდაცვა, საჰაერო თავდაცვა და კიდევ ერთხელ - საჰაერო თავდაცვა, განსაკუთრებით, საბრძოლო მასალის ჩათვლით“, - აღნიშნა მინისტრმა და დასძინა, რომ მთლიანობაში გერმანიის მიერ უკრაინისთვის მიწოდებული სამხედრო დახმარება 3,3 მილიარდ ევროს გადააჭარბებს.

„გერმანია არ გაჩერდება და უკრაინის დახმარებაზე უარს არ იტყვის“, - განაცხადა ბორის პისტორიუსმა.

მოამზადა
ამირან გურიელიძემ

საქართველო – ტრიესტის საერთაშორისო კინოფესტივალის ფოკუს-ქვეყანა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ტრიესტის საერთაშორისო კინოფესტივალი მიმდინარე წლის 21-28 იანვარს გაიმართება

ტრიესტის კინოფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ღონისძიებაა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. კინოფორუმის მთავარი მიზანია კინოს შესახებ ინფორმაციის გავრცელება, კინორეჟისორთა ურთიერთთანამშრომლობისთვის პირობების შექმნა.

ფესტივალის საკონკურსო სექციაში (FEATURE FILM COMPETITION) 25 იანვარს შედგება გიორგი ოვაშვილის ფილმის „მშვნიერი ელენე“ პრემიერა.

ვინაიდან საქართველო ფესტივალის ფოკუს-ქვეყანა გახდა, გაიმართება შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში, რომელსაც კავკასიის რეგიონიდან კინოცენტრებისა და სხვა კინოორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორის პირველი მოადგილე მაკო ჭილაშვილი.

ფესტივალზე სამუშაო შეხვედრების გარდა, გაიმართება ვორქშოფები და ტრენინგები, რომლებიც მიზნად ისახავს კინემატოგრაფისტების პროფესიული განვითარებისა და მათი პროექტების წარმატებით განხორციელების ხელშეწყობას.

ქართველი რეჟისორები და პროდიუსერები საქართველოს კინოცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ფესტივალზე გაემგზავრებიან.

„შუქურა“ დაიშლება?!

საფეხბურთო კლუბ „შუქურას“ ფეხბურთელებმა ხელფასის მიღების მოთხოვნით ქობულეთში - მერიასთან აქცია გამართეს

ფეხბურთელების თქმით, ხელფასი რამდენიმე თვეა არ მიუღიათ და კლუბმა, ფინანსური პრობლემების გამო, საწვრთნელი პროცესი შეაჩერა. აქციის მონაწილეები ქობულეთის მერიასა და ფეხბურთის ფედერაციას მიმართავენ, რადგან მათი განცხადებით, საფეხბურთო კლუბის დაშლის საფრთხე არსებობს.

ამირან გურიელიძე

ცხინვალი ინციდენტს უარყოფს

„ანტისაოკუპაციო მოძრაობის“ ლიდერმა დავით ქაცარავამ სოციალური ქსელით გაავრცელა ინფორმაცია, რომ „პარასკევს, 13 იანვარს, სოფელ მეჯვრისხევში ჩასულ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას (EUMM)-ის სამონიტორინგო ჯგუფს რუსებმა „ცეცხლი ჰაერში შეაგებეს და იქიდან გასვლა მოსთხოვეს“. ქაცარავას განცხადებით, ინფორმაცია თვითმხილველებისგან მიიღო.

ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. მისი დასრულების შემდეგ ოსური დელეგაციის ხელმძღვანელმა იგორ კოჩიევმა ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის ბრიფინგი გამართა და მანამდე გავრცელებული ინფორმაცია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან მომხდარი ინციდენტის შესახებ სრულიად უარყო. მან განაცხადა, რომ შეხვედრაზე ეს საკითხი არ განხილულა.

ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა 17 იანვარს გაიმართა. შეხვედრის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ 13 იანვარს, სოფელ მეჯვრისხევთან, საოკუპაციო გამყოფ ხაზთან ევროკავშირის დამკვირვებლებსა და რუსეთის მესაზღვრეებს შორის ინციდენტი მოხდა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ დაადასტურა ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მომხდარი ინციდენტი. დამკვირვებლების თქმით, მის შედეგად მათ წარმომადგენლებს არაფერი დაშავებიათ.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის 110-ე შეხვედრაზე, მეჯვრისხევთან მოხდარი ინციდენტის განხილვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ირაკლი ანთაძემაც დაადასტურა. მან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ფაქტს პრინციპული შეფასება მოჰყვა. ჰაერში სროლის ფაქტს არც ადასტურებენ და არც უარყოფენ როგორც საქართველოს ხელისუფლების, ისე ევროკავშირის მისიის წარმომადგენლები.

„ახლა მიდის დეტალებზე მსჯელობა, დაზუსტება, ამიტომ ჩვენი მხრიდან ეს არის ჩვენი საერთო პოზიცია, მათ შორის პარტნიორების, რომ საკითხის ბოლომდე ამოწურვამდე თავი შევიკავოთ მსჯელობისაგან. ერთადერთი, რაც შემიძლია, დაგიდასტუროთ, აღნიშნული ინციდენტი დღევანდელ შეხვედრაზე იყო განხილული და მას მიეცა პრინციპული შეფასება. აღნიშნული ინფორმაცია ცხელი ხაზით გაზიარებული არ ყოფილა, მაგრამ ის დღეს იყო განხილვის საგანი“, - განაცხადა ანთაძემ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასა და რუსეთის მესაზღვრეებს შორის, ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მსგავსი ინციდენტი ხდება. 2019 წელს სოფელ ჩორჩანის სიახლოვეს, რუსეთის სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლებმა ევროკავშირის დამკვირვებლები 5 საათით დააკავეს, ჩამოართვეს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, ფოტოაპარატები, დურბინდები და მხოლოდ მოლაპარაკებების შედეგად გაათავისუფლეს. მაშინ დე ფაქტო ხელისუფლება იუწყებოდა, რომ დამკვირვებლები ოკუპირებულ სოფელ წნელისის ტერიტორიაზე შევიდნენ, რასაც დაკავება მოჰყვა.

ჩორჩანა-წნელისის მონაკვეთზე განთავსებული საპოლიციო საგუშაგოს აღებას ისევ ითხოვს დე ფაქტო ხელისუფლება და ამის შესახებ კოჩიევმა ცხინვალელ ჟურნალისტებთან ისაუბრა. გარდა ამისა, მან ქართული მხარე უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებასა და ე. წ. საზღვრის დარღვევაში დაადანაშაულა.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ისევ აპროტესტებენ ე. წ. ბორდერიზაციის პროცესს. როგორც ერგნეთში გახდა ცნობილი, შარშან საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების, ღობეების, სხვა ნაგებობების მონტაჟის 69 შემთხვევა დაფიქსირდა. გარდა ამისა, ცხინვალის ციხეში უკანონო პატიმრობაში საქართველოს 7 მოქალაქე იმყოფება. ბოლო მათგანი - იოსებ დვალიშვილი, ოკუპირებული არცევის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. ირაკლი ანთაძის ინფორმაციით, დვალიშვილის მიმართ ცხინვალში მოკვლევა მიმდინარეობს.

ოკუპირებული ახალგორის მიმართულებით გზის გახსნის საკითხზე ისევ იმსჯელეს მხარეების წარმომადგენლებმა. ქართული მხარის მოთხოვნაა, რომ რაზდახანის, იმავე მოსაბრუნის ე. წ. გამშვები პუნქტი სრულად გაიხსნას, თუმცა, როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელმა ზვიად ზვიადაძემ განაცხადა, ოსური მხარე ისევ ძველ ფორმატს შეინარჩუნებს, როცა თვეში ერთხელ ათი დღით იხსნება გზა დაბაში დარჩენილი მოსახლეობისთვის.

მოამზადა
მარი მიდასელმა

უკრაინა

უკრაინა დაიბრუნებს ყირიმს, რადგან ეს არის ჩვენი მიწა, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხუთშაბათს დავოსში ვიდეოჩართვის საშუალებით სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. „ეს ჩვენი მიწაა. ყირიმი ჩვენი ზღვა და ჩვენი მთებია. მოგვეცით თქვენი იარაღი და ჩვენ დავიბრუნებთ, რაც ჩვენია“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, რუსეთს ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა, დატოვოს ყირიმი, რითაც ის საკუთარი ხალხის სიცოცხლეს გადაარჩენს. „ჩვენს ქვეყნებს შორის უფსკრული უზარმაზარია. ეს არ არის ხელოვნური. ის გათხარა პუტინმა. ის დგას ამ ნიჩბით და დარჩება ამ ნიჩბით ისტორიაში“, - აღნიშნა ზელენსკიმ. კითხვაზე, არსებობს თუ არა რუსეთსა და უკრაინას შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების შესაძლებლობა, ზელენსკიმ უპასუხა: „სამშვიდობო მოლაპარაკებები არ არის მშვიდობა“.

* * *

ჩვენი თავდაცვის გასაძლიერებლად პარტნიორებმა რამდენიმე ძალიან ძლიერი გადაწყვეტილება მიიღეს, მადლობა ყველას, ვინც იცავს მშვიდობას ჩვენთან ერთად, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა. მან „რამშტაინის“ ფორმატში დაგეგმილ შეხვედრაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ძლიერ გადაწყვეტილებებს ელოდებიან. „ჩვენი თავდაცვის გასაძლიერებლად დღეს პარტნიორებმა რამდენიმე ძალიან ძლიერი გადაწყვეტილება მიიღეს. ვემზადებით „რამშტაინისთვის“ - ველით ძლიერ გადაწყვეტილებებს. ასევე, ველოდებით სამხედრო დახმარების პაკეტს შეერთებული შტატებიდან. მადლობა ყველას, ვინც იცავს მშვიდობას ჩვენთან ერთად, დიდება ჩვენს ყველა მებრძოლს, რომლებიც გვაჩვენებენ გამძლეობას და აძლევენ უკრაინას იმ შედეგს, რაც გვაქვს. დიდება ყველას, ვინც იბრძვის ჩვენი გამარჯვებისთვის! დიდება უკრაინას!“, - განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

* * *

გერმანიის თავდაცვის ახლად დანიშნულ მინისტრ ბორის პისტორიუსის განცხადებით, უკრაინაში გერმანული Leopard 2-ის ტანკების მიწოდება არ უნდა იყოს დაკავშირებული შეერთებული შტატების მიერ Abrams-ის ტანკების მიწოდებასთან, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. „ჩემთვის არაფერია ცნობილი ასეთი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“, - განაცხადა გერმანიის თავდაცვის მინისტრმა, როდესაც უპასუხა შეკითხვას, მზად არის თუ არა გერმანია უკრაინას Leopard-ის ტანკები მიაწოდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატები Abrams-ის საბრძოლო ტანკებს მიაწოდებს. კითხვაზე, მიაწვდის თუ არა გერმანია უკრაინას საბრძოლო ტანკებს აშშ-ის გარეშე, პისტორიუსმა უპასუხა, რომ ამ საკითხს კანცლერი ოლაფ შოლცი აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან განიხილავს. „აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მივიღებთ, მაგრამ დღეს ვერაფერს გეტყვით“, - განაცხადა მან.

* * *

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პაველ იაბლონსკი აცხადებს, რომ ქვეყანა მზადაა განახორციელოს არასტანდარტული ქმედება, თუ გერმანია უკრაინისთვის Leopard-ის ტანკების წინააღმდეგი იქნება, - ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს. ამასთან, პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავიეცკიმ მიანიშნა, რომ პოლონეთმა შესაძლოა უკრაინას Leopard2-ის ტანკები უფრო ფართო კოალიციის ფარგლებში, თუნდაც გერმანიის თანხმობის გარეშე, გაუგზავნოს. „თანხმობა აქ მეორეხარისხოვანია, ჩვენ ამ თანხმობას ან სწრაფად მივიღებთ, ან თვითონ გავაკეთებთ იმას, რაც საჭიროა“, - განაცხადა მორავიეცკიმ.

* * *

გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ინფორმაციით, ამჟამად უკრაინაში, თითქმის დანამდვილებით, დაქირავებულ მებრძოლთა ჯგუფ „ვაგნერის“ 50 ათასამდე მებრძოლი იმყოფება და უკრაინაში მიმდინარე ბრძოლების მთავარი კომპონენტი გახდა, - აღნიშნულია ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში. უწყების ცნობით, „ვაგნერი“ საჯარო პროფილში „საოცრად სწრაფ განვითარებას“ განიცდის. „ევგენი პრიგოჟინმა მხოლოდ 2022 წლის სექტემბერში აღიარა მის მიერ „ვაგნერის“ შექმნა. 2022 წლის ოქტომბერში კი მან პეტერბურგში შტაბი გახსნა“, - აცხადებენ ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენსა და ამერიკელ ხალხს უსაფრთხოების სფეროში კიდევ ერთი - 2,5 მილიარდი ღირებულების დახმარების პაკეტის გამოყოფისთვის მადლობას უცხადებს. „Stryker-ის ჯავშანმანქანები, კიდევ Bradley-ს საბრძოლო მანქანები, Avenger-ის საჰაერო თავდაცვის სისტემები მნიშვნელოვანი დახმარებაა აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში. მადლობა ამერიკელ ხალხს ურყევი მხარდაჭერისთვის!“ - წერს ვოლოდიმირ ზელენსკი „ტვიტერზე“. შეგახსენებთ, ახალი პაკეტი მოიცავს Stryker-ის ჯავშანმანქანებს, რომლებსაც აშშ უკრაინას პირველად მიაწვდის, ასევე Bradley-ს საბრძოლო მანქანებს სხვა საბრძოლო მასალებსა და აღჭურვილობას.

* * *

ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, რუსეთს ქვეყნების განადგურება სურს. „დრო ცოტაა, სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ“, - განაცხადა ზელენსკიმ გერმანიაში, „რამშტაინის“ ფორმატში მიმდინარე შეხვედრაზე, სადაც მან ვიდეოჩართვის საშუალებით ისაუბრა. „კრემლმა უნდა წააგოს. თქვენ ხართ ძლიერი ქვეყნების ძლიერი ხალხი. მოგიწოდებთ, მიიღოთ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება წაართვან რუსულ ბოროტებას ნებისმიერი ძალა“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მან დასავლელ ლიდერებს კიდევ ერთხელ მოუწოდა, უკრაინას ტერორის დასამარცხებლად საჭირო იარაღი მიაწოდონ. „თქვენ გაქვთ ძალაუფლება, უზრუნველყოთ არტილერია და თვითმფრინავები, რომლებიც ჩაახშობენ ტერორს. თქვენს გაქვთ ძალაუფლება, უზრუნველყოთ გამარჯვება“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 20/01/23, 21 ²⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

სიმფონიური ორკესტრისა და სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა შესანიშნავი ტანდემი

ბათუმის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლასა და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიურ ორკესტრს შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში, წელიწადში ერთხელ, კლასიკური მუსიკის საღამო ტარდება

ეს არის ძალიან საჭირო პროექტი, რომლის დროსაც სამუსიკო სკოლას შესაძლებლობა ეძლევა წარმატებული მოსწავლეები სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გამოიყვანოს, რაც ნორჩი მუსიკოსებისთვის ძალზე ნოყიერი „საკვები“ და იმის საწინდარია, რომ ამ ბავშვების უმეტესობამ კლასიკური მუსიკის შესწავლა მომავალშიც გააგრძელოს.

კონცერტში, რომელსაც ამავე სკოლის გოგონათა გუნდის კონცერტმაისტერი სალომე სურმანიძე უძღვებოდა, მონაწილეობდნენ როგორც დებიუტანტები, ისე გამოცდილი, მრავალგზის ლაურეატი მუსიკოს-შემსრულებლები. წელს სიახლე ის იყო, რომ რევაზ ლაღიძის გოგონათა გუნდი „საშობაო სიმღერით“ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, მსმენელის წინაშე ორ კონცერტმაისტერთან ერთად წარსდგა. ორი როიალის პარტია შეასრულეს ნინო ნიშნიანიძემ და სალომე სურმანიძემ. აღსანიშნავია ისიც, რომ ორკესტრსაც და გუნდსაც გუნდის ქორმაისტერი მაგდა მათითაიშვილი დირიჟორობდა.

საღამოზე სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებმა ჩაიკოვსკის, ბერკოვიჩის, მოცარტის, ბერიოს, შოპენის, ლომდარიძის, დანელიას ნაწარმოებები ვიოლინოსა და ფორტეპიანოზე შეასრულეს.

ვიოლინოზე დაუკრეს კესარია ალელიშვილმა, თაკო დიასამიძემ, მარიამ რამიშვილმა და ეკატერინე მახარაძემ (პედაგოგ არევიკ სიმონიანის კლასი).

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პირველად არ გამოდიოდნენ ორკესტრთან ერთად. დირიჟორმა მამუკა ალაფიშვილმა მოსწავლეებს საშუალება მისცა, სასკოლო არდადეგებიც გამოეყენებინათ და რეპეტიციები ორკესტრთან გაევლოთ.

სადებიუტო და საპასუხისმგებლო გამოსვლა ჰქონდათ პირველკლასელებს - ანდრია კაპანაძეს, ბარბარე ვადაჭკორიასა და დათა ძნელაძეს. სხვათა შორის, დათა ძნელაძე საღამოს ყველაზე პატარა მონაწილე გახლდათ - მას ნოემბერში შეუსრულდა ექვსი წელი. ის პედაგოგ თინათინ ლორთქიფანიძესთან 4 წლიდან მეცადინეობს, მისი და - მარიამი და ძმა - სანდრო, ასევე, ქალბატონ თინათინის მოსწავლეები არიან. პედაგოგი ამბობს, რომ სამივე და-ძმა ძალიან მუსიკალურები და შრომისმოყვარეები არიან. საინტერესოდ წარსდგნენ მსმენელის წინაშე უფრო გამოცდილი მოსწავლეები, რომელთა შორის იყვნენ ალეკო ქედელიძე, ნუცა სურმანიძე, მარია ზაფარაბადი, ლიზი სურმანიძე, ეკატერინე მახარაძე და უკვე საკმაოდ ცნობილი, არაერთი კონკურსის ლაურეატი ბაჩი მიქელაძე. საკონცერტოდ მოსწავლეები მოამზადეს პედაგოგებმა ნატალია ორაგველიძემ, არევიკ სიმონიანმა, ნინო მაჭარაძემ, თინათინ ლორთქიფანიძემ.

ბავშვები ნამდვილად ნიჭიერები არიან, მაგრამ აუცილებლად უნდა დავაფასოთ მათი პადაგოგების ღვაწლი, რომლებიც პატარა მუსიკოსებს ამ ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობას აძლევენ.

კონცერტის შემდეგ რამდენიმე შთაბეჭდილება ჩავიწერეთ.

თემურ შალვაშვილი, პროფესორი:

- როგორც მევიოლინე, იმათზე ვიტყვი, ვინც დღეს მსმენელის წინაშე ვიოლინოთი წარსდგა. ძალიან მასიამოვნეს ახალგაზრდებმა. საინტერესო პროგრამაც ჰქონდათ და კარგადაც იყვნენ მომზადებულები. მინდა მივულოცო მათ მასწავლებელ არევიკ სიმონიანს, რომელიც ჩემი აღზრდილია როგორც სკოლაში, ისე სასწავლებელსა და კონსერვატორიაში. დღეს ის ამ სფეროში ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგია ბათუმში. ვულოცავ დღევანდელი კონცერტის წარმატებით ჩატარებას როგორც პედაგოგს, ისე მის მოსწავლეებს.

დავით მუქერია, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი:

- ძალიან რთული პროგრამით წარსდგნენ ბავშვები - ისეთი ნაწარმოებები შეასრულეს, რომელსაც პროფესიონალები უკრავენ. ნიჭიერი თაობაა. რაც მთავარია, ძალიან კარგია, რომ ასეთი სახის საგანმანათლებო პროგრამა არსებობს და მასში სიმფონიური ორკესტრი მონაწილეობს. ბავშვები რომ ორკესტრთან ერთად გამოდიან, ეს მათთვის მოტივაციია წინსვლისთვის. თუ მუსიკას არ გაჰყვებიან, კარგი მსმენელები მაინც გახდებიან, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

მამუკა ალაფიშვილი, ორკესტრის დირიჟორი:

- ბავშვები ორკესტრთან დიდ მუსიკალურ პრაქტიკას გადიან, სულ სხვანაირად იხსნებიან. ასეთი კონცერტები ხშირად უნდა ტარდებოდეს, რადგან ორკესტრთან ერთად გამოსვლას სულ სხვა დატვირთვა აქვს, სულ სხვა ფერებია, სხვა შინაგანი შეგრძნებები. მადლობა მინდა ვუთხრა ნატალია ორაგველიძეს - მან ბევრი ბავშვი გამოიყვანა კონცერტზე. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ბევრი ნიჭიერი პატარა გვყავს და ასეთი პროექტები სხვა მუსიკალურმა სკოლებმაც უნდა განახორციელონ, ჩვენი ორკესტრი ყოველთვის მზადაა მათი დახმარებისთვის.

აპაკი ძნელაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:

- ძალიან კარგი პროექტია, ერთ-ერთი საუკეთესო აჭარაში. ორკესტრთან ურთიერთობა ახალგაზრდების სამომავლო შედეგებზე აისახება. შეიძლება ყველა მუსიკოსი არ გამოვიდეს, მაგრამ რაც მთავარია, მათ კარგი მუსიკა ყოველთვის ეყვარებათ. დიდი მადლობა ნატალია ორაგველიძეს, რომ ასეთ საქმეს აკეთებს და შესანიშნავი შედეგებიც აქვს.

ნატალია ორაგველიძე, ბათუმის რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლის დირექტორი და ფორტეპიანოს პედაგოგი:

- დიდი მადლობა დავით მუქერიასა და მამუკა ალაფიშვილს, რომ ორკესტრთან მუშაობის საშუალებას გვაძლევენ - ეს დიდი ფუფუნებაა. ძალიან ბევრი ნიჭიერი ბავშვი ამთავრებს სამუსიკო სკოლას ისე, რომ შეხებაც კი არ აქვს ორკესტრთან. დღევანდელ კონცერტში სამი პირველკლასელი პიანისტი მონაწილეობდა. ეს წუთები მათ არასოდეს დავიწყდებათ. ბავშვებმა აჩვენეს საკუთარი პოტენციალი - ესაა სკოლის ხვალინდელი დღე.

ზვიად ბოლქვაძის მუსიკა საუკეთესოდ ალიარეს

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გასული წლის თეატრალური სეზონის საუკეთესო ორიგინალურ მუსიკად დაასახელა ჩვენი თანაქალაქელის, ცნობილ მუსიკოს ზვიად ბოლქვაძის მუსიკა მონოდრამისთვის - „მედეას ვნებანი“, რომელიც ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრში დაიდგა (რეჟისორი - ზაზა სიხარულიძე)

ეს მართლაც შთამბეჭდავი მუსიკაა, რომელიც პირველივე წუთებიდან გიპყრობს. ზვიად ბოლქვაძე ის კომპოზიტორია, რომლის შემოქმედებაც გულგრილს არავის ტოვებს. მას აფასებენ და უყვართ არა მხოლოდ საქართველოში.

„მედეას ვნებანის“ პრემიერა ბათუმის ხელოვნების ცენტრში ზაფხულში შედგა. მასში მხოლოდ ერთი მსახიობი მონაწილეობს - თათია თათარაშვილი, რომელიც მედეას როლს ასრულებს. მთელ სპექტაკლს ფონად სწორედ ზვიად ბოლქვაძის უჩვეულოდ საინტერესო მუსიკა მიჰყვება. უფრო სწორად, მუსიკა, ისევე როგორც მედეა, სპექტაკლის მთავარი მოქმედი გმირია.

აი, როგორ აფასებს ამ მუსიკას საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის გამგეობის წევრი გიორგი ყაჯრიშვილი მასალაში „სიზმრად ხილული ვნებები“: „მედეას ვნებები“ მონოსპექტაკლია, ერთი მსახიობის - თათია თათარაშვილის მონაწილეობით, თუმცა ზვიად ბოლქვაძის მიერ შექმნილი მუსიკალური კომპოზიცია არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სცენაზე ერთი მსახიობია; უანრობრივად მონოდრამა, ჩემი აზრით, უფრო კანტატაა ან ორატორიაა გუნდის, ორკესტრისა და ერთი მსახიობის შესრულებით. იმდენად შთამბეჭდავი და დრამატურგიულად აწყობილია პარტიტურა, წარმოდგენა იქმნება, რომ სცენაზე ხალხის ქორომასაა და მედეა, რომლის ირგვლივ არათუ მითების მრავალსახეობაა შექმნილი, არამედ იგი გმირია, ვის შესახებაც დღესაც უამრავი დრამატურგიული ნაწარმოები იქმნება... წარმოდგენა ქორალით იწყება - ესაა გოდება, მოთქმა მედეას ტრაგიკულ ბედზე, მის დაღუპულ შვილებზე, მის დაკარგულ სიყვარულზე, იმ დანაშაულზე, რომელიც მედეამ სიყვარულის გამო ჩაიდინა და ამ შესანიშნავი მუსიკალური კომპოზიციის ფონზე ისმის მედეას - თათია თათარაშვილის ხმა, ემოციური, გულნატკენი და ტანჯული, მაგრამ მტკიცე, რომელიც მოგვითხრობს თავის განვლილ გზაზე.... მისი ყოველი ფრაზა მუსიკის რიტმის შესაბამისია. ისინი ერთად ხმოვანებენ და საერთო ჰარმონიას ქმნიან. დრამატურგიულ ტექსტში არის ადგილები, სადაც მედეა ერთსა და იმავე სიტყვებს ბევრჯერ იმეორებს იმ მუსიკალური ფრაზის თანხლებით, რომელიც ამ დროს ჟღერს... ყოველივე ეს ერთ სიმფონიურ ხმოვანებას ქმნის, სადაც თავის მხრივ, მუსიკა არა მხოლოდ აკომპანიმენტია, არამედ ამ ცნებების იმპროვიზაციაა. მსახიობი და მუსიკა ერთად ქმნიან მედეას სახე-ხატს ისე, რომ არცერთი არ დომინირებს, მედეას ტექსტი და მუსიკალური ჟღერადობა თანმხვედრია იმის, რასაც მედეა გვიყვება. გვიყვება ზვიად ბოლქვაძის მუსიკაც და ეს კომპოზიციაც ისეთივე ემოციურ-ტრაგიკულია, როგორც მედეას ამბავი მოთხრობილი სიზმრად...“.

გაზეთი „აჭარა“ ულოცავს ნიჭიერ კომპოზიტორს ამ დამსახურებულ ჯილდოს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს ჩვენს საამაყო თანაქალაქელს.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა